საბაკალავრო პროგრამის დასახელება: იტალიური ფილოლოგია / Italian Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Italian Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი მაია ჯავახიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
ბაკალავრიატის პროგრამა იტალიურ ფილოლოგიაში მოიცავს ორ სპეციალობას: იტალიური ენა და იტალიური ლიტერატურა. პროგრამის მიზანია მოამზადოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის სტუდენტები, ანუ სტუდენტები, რომელთაც გააჩნიათ იტალიური ფილოლოგიის საფუძვლების ცოდნა: იტალიური ენის ცოდნა B2 დონეზე, იტალიური ლიტერატურის ძირითადი მიმართულებების ცოდნა უძველესი დროიდან, ამასთანავე გააჩნიათ თეორიული მომზადება, ფლობენ შესაბამის სპეციალურ ტერმინოლოგიასა და ცნებებს, გამომუშავებული აქვთ მთელი რიგი უნარები (დამოუკიდებელი მუშაობის, მასალის შეგროვების, მისი დამუშავების და ინტერპრეტაციის უნარი, მოსაზრებების ჩამოყალიბების, გადმოცემის და დაცვის უნარი) რაც, სურვილის შემთხვევაში, სწავლის შემდგომი გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს.

სწავლის შედეგები:
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

- რომანული ფილოლოგიის ძირითადი ასპექტების ცოდნა; იტალიკური ენების და კონკრეტულად იტალიური ენის ადგილი ინდოევროპული ენების ოჯახში; ლათინური ენის განვითარების ძირითადი ეტაპების, რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების ცოდნა.
- ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ შემუშავებული უცხოური ენების სწავლებისა და შეფასების სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტში განსაზღვრული დონეების შესაბამისად და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, სტუდენტს შეეძლება:
- მიღებული ცოდნის და გამომუშავებული უნარების საფუძველზე შეუძლია დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა.
- ინფორმაციის მიღება, ტექსტის ფორმისა და შინაარსის აღქმა, სპონტანური საუბარი, ტექსტის გაგება, მასში მოცემული ინფორმაციის კრიტიკული ხედვა და შეფასება: ტექსტის აგება, საკუთარი აზრის თავისუფლად გადმოცემა; კითხვების დასმა და კითხვებზე პასუხი; პრობლემის ამოცნობა და პრობლემის გადაჭრა მოცემულ სიტუაციაში;
- ჩამოუყალიბდათ სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი დამოუკიდებელი გაგრძელებისათვის:
- მხატვრული ტექსტის ანალიზი, სინთეზი; სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და მეცნიერული კვლევა;
- ინფორმაციის მოძიება დალაგება, შეჯამება და გამოყენება.
- განმარტება და საკუთარი პოზიციის დაცვა; გადაწყვეტილების ძიება; უნარების გამოყენება დავალების სირთულის მარტივად განსაზღვრისათვის;
- ახალი ინფორმაციის შედარება არსებულ ცოდნასთან; იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი.

დასაქმების სფეროები:
უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა საქართველოსა და იტალიას შორის კულტურულმა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა კონტაქტებმა. მზარდია ინტერესი ტურისტული სექტორისადმი, რამაც გამოიწვია შრომით ბაზარზე იტალიური ენის სპეციალისტებისადმი მოთხოვნის გაზრდა. მიღებული კვალიფიკაციის შედეგად ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ თარჯიმნებად, თარჯიმან-რეფერენტებად და მთარგმნელებად სხვადასხვა ტიპის საწარმოებსა თუ ოფისებში, იმუშაონ არქივებში, გამომცემლობებში, ტელევიზიაში, ბიბლიოთეკაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მსურველს აქვს საშუალება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მეორე სემესტრი.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
კაბინეტში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა და ბიბლიოთეკა (იტალიის საელჩოს საჩუქარი). ერთი კომპიუტერი, ერთი პრინტერი, ერთი ტელევიზორი, სლაიდების გასაშვები აპარატი, ეკრანი.

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: იტალიური ფილოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი მაია ჯავახიძე,

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს იტალიური ფილოლოგიის დარგში. ის უქმნის სტუდენტს დარგის ზოგად საფუძვლებს და სძენს ნაწილობრივ როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. პირველ რიგში გამიზნულია პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შეძენა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. "საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს" პარამეტრებს, რაც გულისხმობს კომპეტენციის ზრდას ნულოვანი დონიდან B[1]-მდე.

სწავლის შედეგები:

- სტუდენტი იგებს (აუდირება): ვრცელ მოხსენებას, ლექციას, თუ კი თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარს, თუ კი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი;
- სტუდენტი იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრული ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერ (დარგობრივ ლიტერატურას;
- სტუდენტი (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი ენის მატარებელთან; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს;
- სტუდენტი (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; ასახელებს თემასთან დაკავშირებულ პრო- და კონტრა-არგუმენტებს;

დასაქმების სფეროები: დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში, ადგილობრივ და რეგიონულ ადმინისტრაციში, თარჯიმან–რეფერენტად, თანაშემწედ, გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C

61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: იტალიური ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობის ასაღებად სტუდენტს ძირითად სპეციალობად რომელიმე სხვა ენის პროგრამა არ უნდა ჰქონდეს არჩეული.

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია არაუგვიანეს მეოთხე სემესტრისა.